ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. № 18. 11 ᲛᲐᲘᲡᲘ 1878 Წ.

ᲡᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲗᲠᲬᲘᲜᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲛᲝᲠᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ, ᲡᲐᲮᲚᲘ № 5.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲤᲐᲡᲘ

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕ. 7 Მ. —
ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ . . . . . 3Მ.50Ჯ.
ᲗᲘᲗᲝᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ . . . . . « 15 Ჯ.

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲒᲘᲗ

15-Ს ᲐᲛ ᲗᲕᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ „ᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ“ ᲓᲐ „ᲪᲝᲚᲘᲡ ᲨᲣᲠᲗᲕᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐᲡ,“ ᲗᲮᲖ ᲛᲝᲚᲘᲔᲠᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲫᲘᲔᲒᲚᲘ: I. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ: ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ («ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲪᲝᲜᲔ (ᲝᲒᲣᲠ. ᲙᲝᲠᲠ.).—II. ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.—III. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ, ᲖᲐᲡᲣᲚᲘᲩᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ (ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ).—IV. ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ. ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ (ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ).—V. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲜᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲜᲣᲒᲔᲨᲝᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲡᲮᲠᲣᲚᲝᲓ ᲛᲫᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲭᲡᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲘ: ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲔᲡᲚᲐ ᲝᲪᲨᲔᲓ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲛᲝᲚᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ; ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲣᲛᲪᲢᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ; ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲛᲡᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲑᲘ,—ᲔᲠᲗᲘ ᲯᲐ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲓᲦᲔ-ᲓᲦᲔᲖᲔᲓ ᲓᲘᲓᲘᲡᲣᲠᲝᲑᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲬᲣᲡᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲒᲘᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲖᲔᲓ ᲬᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲗᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲝᲑᲘᲗ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐᲜ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲬᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲘᲡᲮᲠᲣᲚᲝ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲔᲠᲫᲝᲠᲑᲘᲗᲘ ᲡᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲣᲛᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲣᲚᲝᲔᲑᲘᲗᲐᲕᲝ. ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲬᲥᲛᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲘᲡ-ᲛᲧᲝᲗᲔᲚᲗ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲗ ᲠᲐ; ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲬᲥᲛᲜᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲛᲐᲕᲚᲓᲗ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲗ ᲠᲐ; ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲬᲥᲛᲜᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲡ ᲙᲪᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲣᲜᲒᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲮᲚᲓᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲯᲚᲐᲡ. თუ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ ᲛᲘᲛᲐᲕᲚᲓᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲠᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲕᲕᲣᲬᲣᲗ,—ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲗᲘ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲙᲠᲓᲠᲝᲛᲘᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲝᲡ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲡ ᲐᲘᲦᲔᲑᲗ, თუ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲕᲚᲝᲚᲡ თუ ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲮᲝᲡ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗᲘᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲕᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ,—ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲫᲐᲠᲓᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲣᲕᲚᲘᲐ ᲡᲚᲔᲚ. ᲣᲧᲕᲔᲚᲡ ᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲜᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲕᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲩᲮᲕᲘᲐᲜ, ᲐᲠᲐ ᲣᲕᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲙᲣᲠᲐᲓ: ᲐᲘ ᲠᲐ ᲙᲪᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗᲗ. ᲣᲗᲣᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲨᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲓᲚᲣᲚᲘ, ᲓᲐ ᲥᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲣᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲐᲦᲢᲣᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲑᲠᲫᲔᲡ, ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲡ, ᲛᲮᲜᲝᲑᲡ, ᲡᲐᲥᲛᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲯᲘᲦᲓᲠᲝᲓ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲛᲐᲡ ᲕᲦᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘ ᲫᲔᲢᲣᲕᲘᲡᲝ: „თუმცა ᲬᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲓ ᲛᲫᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲥᲛᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲢᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲔᲑᲠ, ᲩᲔᲗᲐᲗ ᲛᲝᲛᲫᲛᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲘᲐᲗ.“ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲔᲗ, ᲫᲚᲐ ᲥᲕᲔᲣᲜᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲘᲡ ᲙᲪᲔᲑᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲐᲗᲨᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲐᲠᲘᲟᲘᲡ ᲣᲕᲐᲡᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲠᲗᲣᲜᲚᲐ, ᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲐᲥ ᲓᲐ ᲣᲕᲘᲠᲘᲡ: ᲠᲐᲪᲐ ᲕᲐᲠ, ᲛᲔ ᲕᲐᲠᲗ. ᲐᲛᲗᲐ ᲨᲐᲠᲘᲟᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲐᲛᲗᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗᲗ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲔᲜᲘᲡ ᲮᲚᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲜᲘ ᲛᲘᲡ ᲙᲚᲗᲗᲐᲨᲘᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲖᲓᲘᲚᲜᲘ; ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲑᲠᲚᲝ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲜᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲨᲘ ᲖᲝᲒᲘᲪ ᲘᲛᲘᲡᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲡᲐᲣᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲝ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲖᲝᲗᲘᲗ ᲛᲐᲗᲨᲘᲐ, ᲐᲛᲗᲐᲨᲘ! ᲘᲦᲕᲬᲘᲐᲜ, ᲡᲐᲥᲛᲝᲑᲔᲜ, ᲛᲮᲜᲝᲑᲔᲜ ᲡᲣᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲝ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲔᲗ ᲛᲐᲗᲡ ᲨᲔᲢᲘᲝᲜᲡᲜᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗᲡ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ. ᲓᲘᲓᲘ ᲩᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲦᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣ-

ლის ქვეყნების ეკვასანებში თრეკითა და განთლების გარეგან ზიზილ-პიპილებითა.

იქნება ამისათვის სასაცილოთაც აგვიგდონ ჩვენმა ჩხავანა პუბლიცისტებმა, მაგრამ ბრმა უნდა იყოს კაცი, ან შურით მოწამლული, რომ ამ უჩინართა მომქმედთა ღვაწლი არ იცოდინოს, არ აღიარონს საქვეყნოდ. დაიარეთ სოფლები, ტოტს შეჭსვდებით იმისთანა სოფელს, საცა ერთი მაინც ამ მომქმედთაგანი არ იყოს ისე, ჩრდილში მიგდებული; საცა ერთი მაინც ამათგანი არ იღწოდეს ან უმაწვილების აღზდისათვის, ან გლეხკაცების კეთილ-დღეობისათვის, ან სოფლის ბანკისათვის, ანუ საამქსანაგო დეპოსათვის და ან ლიტერატურისათვის. ბა ერთი ამათგან დაწყებული საქმე მიჩვენეთ, რომ გაქსუებულიყოს, გაუქმებულიყოს! რად არის ეს? იმიტომ არის, რომ ხალხის შვილნი არიან, ხალხის კალთაში დაბადებულნი და გამოზდილნი; იციან რას მოჭკიდონ ხელი, იციან როგორ მოჭკიდონ და ამასთანავე დაუღალვნი არიან; იციან ხალხის ტკივილი და წამლის შერჩევა, რადგანაც ხალხი უყვართ, ხალხში არიან და ხალხში ტრიალებენ და ამასთანავე თვისებათ აქვთ,—თავისთავზედ უკირილი კი არა,—საქმის გაკეთება, საქმის წარმართება. დიახ, ბატონებო, არა გვანან ჩვენ, გაბღინძულთ და გაზვიადებულთ მარტო იმით, რომ პეტერბურღი და და პარიკი გვინახავს და რაღაც „ჯვითომ განთლებაა“ მოგვცხობია. ისინი არც ჩვენსავით აპილპილდებიან ხოლმე და არც ჩვენსავით მაღე ჩაჭქრებიან. ერთხელ დაძრულს და წარმოიდგარს აზრს, ზედ აკვდებიან მინამ ხორცს შეასხმენ. იმათ ამისათვის არც ტაში უნდათ, როგორც ჩვენ, არ ქება. იციან, რომ მათი ქება თვითონ საქმეა და არა წამ-და-უწუმ ჩხავილი, მე ასეთი ვარო.

ესეგე უჩუმარად, ხმა ამოუღებლივ, უშფოთვარად შეჭსდგა ამ ახლო ხანს ერთი თერიად სასარგებლო საზოგადოება. იგია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, შედგენილი თ. გიორგი რამანის ძე ერისთავის მეცადინეობით. ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოამზადოს ღირსი ურმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა ღონისძიება აღმოუჩინოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტის-მეტად სასარგებლოა და საკეთილო ჩვენის ქვეყნისათვის.

წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცდა მთავრობისაგან და რუსულად დაბეჭდილიც არის. რვას მაისს პირველი მორიგი კრება შეჭსდგა. ამორჩეულ იქმნა გამგებელი კომიტეტი *) და დადგენილ რომ უფ. პაატაძესაგან ქართულად თარგმნილი წესდება დაიბეჭდოს და ზედ დაერთვას სახელი და გვარი აქამომდე ჩაწერილთა წევრთა. ეოველმა წევრმა უნდა შეამოიტანოს წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა: დღეგანდლამდე ორას წევრამდეა ჩაწერილი და იმედია, რომ ეს რიცხვი მოიმატებს.

საქმე ესლა იმაშია, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჩვენმა ხალხმა ამ საზოგადოებას ხელი გაუმართოს და შემწეობა ამოუჩინოს. ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, თანამოძმეობისა. ვისაც რა შეუძლიან და რითაც შეუძლიან, ყველამ უნდა გაიგიჟროს საქმე და ამ საზოგადოებას ნიკოიერი ღონის-ძიება მიჭსცეს მისდა კეთილის განზრახვის აღსრულებისათვის. ნუ დაგვიწყდება, რომ ეოველი გროში, ამ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება; მათის კაცად გახდომისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს. აქ უგან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა საუგუნოდ საწყევარი. გვეყო, ბატონებო, სხვაზედ დინდობა, სხვის მეყურებლობა. ჩვენ თვითონ მივეშველნეთ ჩვენს თავს: რაც ერისათვის შეუძლებელია, ის ყველასათვის ადვილია; მივცეთ ერთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავწყოთ და რიგიანად წარგმართოთ. გამგებელს კომიტეტში ბევრი იმისთანა კაცია, რომ რაც მათზედ დამოკიდებული იქნება, არას ღონეს და შრომას არ დაზოგავენ, რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინებულ იქმნას. ოღონდ ფეულია საჭირო, რომ ამ საზოგადოებამ ვრცლად მოჭ-

*) თავ-მჯდომარეთ ამორჩეულია: თ. გიორგი რამანის ძე ერისთავი, თანამემწეთ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მაჩაბელი, წევრად: კონსტანტ. თელიმბეგოვი, უფ. ცხვედაძე, გიგიმბეგოვი, ლუარსაბ მელიქიშვილი და ლ. გ. ერისთავი; სეკრეტრად ნ. ლ. ქანანოვი.

ხვიოს ხული ჩვენს საოჯეულთავო საჭიროებას შეიტანის გაზდისას და თავლთ-სახინო სიკეთე მოჭეინოს ჩვენს ქვეყანასა. ი

ლობენ, ქურდობას მიჭეოფენ ხელს და იმითი გამოდიან დღე-დღეულად. დვინო რა არის, დვინოსაც კი იპარავენ ქვეყრიდამ დახელოვნებული ქურდები. ისე ნაირად ამოსცლიან ქვევრსა, რომ კაცს ეგონება ბატრონს საგანგებოდ ამოუწმენდიაო... აი ერთი მაგალითი: ადგგომის მეორეს დღეს, თურმე ერთმა ოჯახისშვილმა დაჭეატიჟა სტუმრები (ოჯახისშვილი ამისთანა დღეს, როგორც მოგეხსენებათ, უსტუმროდ ბურს არა სჭამს). სტუმრები დასხდნენ სადილზე. მასპინძელმა წაიღო თოხი და აჭხადა ქვევრი. შენი მტერი დარჩეს, ძმაო გოდორიავ, ხელ ცარიელი, როგორც „ის“ მასპინძელი დარჩა. იმ მამა ცხონებულებს სულ წმინდათ ემეელოთ, რაც კი დვინო ყოფილიყო... ამაზედ მეტი და იქნება?!.

×

ძმაო გოდორიავ! შენ უჩივი მანდ (ქართლში) ურიეებს, მაგრამ ახლა აქეთ გადმოიხედე და, რა ამბავია? ქიზიყში მარტირუზები და თელავში კიდენ ბოდოს-მოდოსები სულ წურბელასავითა სწოვენ ჩვენს მეგებავებს. გითომ დამშეული ჭყავთ ვინმე თუ!— შენ არ მომიკვდე! აი გიამბო თელავის წარსულიდამ! ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო თელავო, ბუნებით მშვენიერო, მცხოვრებლებით მახინჯო! მე ძრიელ გამიკვირდა, რომ დიდ მარხვაში, უკანასკნელს კვირაში ერთს თელაველს ვაჭარს თევზი გადუყარა ბოლიციამ. ძლივს ათი ათასში ერთი უკანონო და უსინიდისო მოგლეწა შენიშნა ჩვენმა ბოლიციამ; მაგრამ, მიკვირს კი, რომ გმერდით მდგომს სბილოს კი ვერა ჭხედავენ და შორი ახლოს გაფრენილს კოდოს კი თვალები შეაჭუიტეს და თავი გაუნაყეს... მაგრამ., „ყვავს რომ კაკალი გაუგდებინო, ისიც კარგიაო...“ ნუ თუ ყველიერში კი კარგი თევზი იყო, რომლის სიმყრალისა გამო ახლოს არც კი გაეკლებოდა?! რატომ მაშინვე არ გადაურეკინა გისიც ჯერი იყო. და რათ მისცა ნება, რომ მოესარშა .....ს და ქილაში შეენახა ძმარში?! რათ აება თვალები და რატომ არ გადუყარა ის თევზი, რომელსაც ყველიერში უკარგისობის გამო არავინა ყიდულობდა სამს შაურად გირვანქასა და დიდ მარხვაში კი, რა კი ფერი აცვლეინეს—„მონათლეს“—სიხარულით ჭყიდულობდა ხალხი ისევ იმ თევზს ეძვს შაურად გირვანქას, რადგანაც სხვა ხორაგს ვერა შოულობდა?! ნუ თუ ბოლიციას იმოდენი ძალა არა აქვს, რომ უკარგის საქონლის თუ ხორაგის გასყიდვა აღუკრძალოს ვაჭრებსა?! მერე, ისიც ამისთანა დროს, როდესაც ყოველის მხრიდამ მოდის ამბავი სხვა და სხვა შესაყარის სენისა!!.. თუ ეს ძალაც არა აქვს, მაშ რიდას ბოლიციაა?! რას ან ვის უგდებს ყურს?! ნუ თუ თელავის ბოლიციის უკანასკნელის დროის აფაცურება და ბაქიობა—„ყველა უწესობება უნდა მოისპოს ამ ორს კვირაშიო“—სიზმარი და ამაო იყო ჩვენთვის?! ვაი ჩვენი ბრალი ამ ვაჭრების და ბოლიციის ხელში!!.. ვაი ჩემი ბრალი, ძმაო გოდორიავ, რომ ბევრი რამე მაქვს სალაპარაკო, მაგრამ.... მაგრამ ვიტყვი ჩვენის მწერალის სიტყვებით:

„...მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ეს არის,
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ ამდენს ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვინდო, გრძნობა ჩემი გინკუზიარო...“

თქვე დალოცვილებო, თქვენა, სულ განსვენებულის თ. ა. ჭავჭავაძის ერთს ლექსს: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“-ს რომ არ მისდიოთ, ახლა სხვებს დაუგდეთ ყური, რას გიქადაგებენ და! აბა ერთი ყური მიუგდეთ ჩვენს განსვენებულს უკვდავს და უდროოდ დაღუბულს ბოეტს, რას ამბობს:

„...არც კაცი ვარგა, თუ ტოტსალი მკვდარსა ეჭვზავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!...“

თელავში კომისია შემდგარა ქალაქის გასასუფთავებლად! მეცინება! ბიჭო, ვინც ბლომა ჯამაგირს იღებს, ის არას აკეთებს, და, უჯამაგიროთ გააკეთებენ რასმე?! ვინ თელაველები, ვინ მუქთად სამსახური? იქნება აქ მუქთი მჭამელები კი იშოვოთ, თორემ—მუქთი მუშა—იოხ! მაგრამ ვინ იცის, იქნება გაამართლონ თავისი დანიშნულება; გარდაწყვეტით ვერა-ფერს ვიტყვი! მაგრამ დალახვრა ღმერთმა, ეჭვიანი ადამიანი ვარ!.. თუ ბოლიციას მიჭბაძა ამ კომისიამ ..... მაგრამ ზოგი შემდეგში....

P. S. უფ. რედაქტორო! როგორც გავათავე ჩემი წერილი და პაკეთში ვსდებდი ფოშტაში წასაღებად—ასტეადა ერთი ჭექა-ქუხილი, რომელსაც მოჰყვა სეტყვა! სეტყვა შემაძრწუნებელი ჩვენის (მემამულისაც) ხალხისა! სამჯერ მოვიდა და სამჯერ გადი-

დო ნახევარს საათში; ასე რომ სეტყვა სულ ათსთორმეტს მინუტს მოდიოდა. წინა პირველად სეტყვა—თითქმის ტყის თხილის ოდენები იყო და შემდეგ მოტრიალები უფრო, ასე რომ მესამეზედ ხორხოშელათ გარდაიქცა. ეს იყო 28 აპრილს, სწორედ ნაშუადღევის პირველის ნახევარზე (12½).

კურკა ძამსაშვილი.

28 აპრილს 1878 წ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

(იგერ. კორრესპ.)

წელს არა ჩვეული სიცოცხლე და საქმიანობა გამოიჩინეს ქართველის სცენის მოყვარეთ. უწინდელ წლებში, მთელი ერთი წლის განმავლობაში ორი ან სამი წარმოდგენა თუ მოსდებოდა, იგიც კარგი იყო და წელს კი იანვრის აქეთ სამი წარმოდგენა იყო.

გვპირდებიან რომ სამემრისოდაც ხშირ-ხშირად იქმნება წარმოდგენანი. სრული იმედი გვაქვს, რომ ეს დაპირება არ გამტყუნდება, მით უფრო, რომ ამ საქმის გამგენი სულით და გულით მოწადინებულნი არიან: უფ. ალექსი ბეს ჭიჭინაძე, რომლის მხნედ მოკიდება საქმისა და ბოლომდინ მიყვანა უეჭველია და უუფ. კ. მესხი და ა. გამრეკელი.

წელს პირველად წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ჟორჟ-დანდენი“ და უფ. ალ. ჭიჭინაძისგან გადმოკეთებული ოდეკოლი „ალალ-მაყალი ცოდ-ქრებს შუა“. ამ წარმოდგენისგან შემოსული ფული ღარიბ სტუდენტს ნანეიშვილს მოახმარეს. მეორეჯერ წარმოადგინეს ფრანგულითგან რუსულათ გადაკეთებული და რუსულით კი ქართულზე გადმოკეთებული (sic) კომედია „ცოდ-ქმრებს შუა ოჰი“ და ვ. აბაშიძის ოდეკოლი „ცოდი თუ გინდათ ეს არი!!„ ამ წარმოდგენისაგან შემოსული ფული მთლად ქართველის სცენის სასარგებლოდ გადიდვამესამე ჯერ, 23 აპრილს წარმოადგინეს ა. ნ. ოსტროვსკის 5 მოქმედებიანი კომედია „შემოსავლიანი ადგილი“ ქართულად ნათარგმნი უფ. ალ. ჭიჭინაძისგან და ილ. მიქელაძის მიერ. ამ წარმოდგენისგან შემოსული ფული სულ 120 მან. ორად გაჰყვეს: 55 მანეთი სცენის სასარგებლოდ გადადგეს და დანარჩენი ვიდაც ღარიბის სასარგებლოდ იხმარეს.

„შემოსავლიანი ადგილის“ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენის სცენის უკეთესთა მოთამაშეთა და მათ შორის ნიჭიერმა უფ. ეფ. კლდიაშვილისამ, რომელსაც არამც თუ ჩვენს მოუყვარეთ სცენაზე, არამედ ევროპის უკეთესს თეატრშიაც შეუძლია დიჭირონ თვალსაჩინო ადგილი თვისის სათეატრო ნიჭის წყალობით. 23 აპრილს, „შემოსავლიან ადგილის“ წარმოდგენაში იგი გამოვიდა კუკუშკინას როლში, რომელიც ჩვეულებრივად ძალიან კარგად წარმოადგინა. არც ერთს მიხრა-მოხრაში, არც ერთს სიტყვაში ვერ შეატყობდით, რომ მას ეს როლი ზეპირად დასწავლილი ჰქონდა. ყოველი მისი მიხრა-მოხრა და სიტყვა თავისუფალი და ძალა დაუტანებელი იყო, გეგონებოდათ ვითომც თავის საკუთარს აზრებს ამბობდა თვისს ოთახში საკუთარს შვილებთანო.

უფ. კესარია იოსელიანისამ კარგად წარმოადგინა კუკუშკინას ქალიშვილის—პოლინას როლი. თუმც 23 აპრილს იგი პირველად გამოვიდა სცენაზე, მაგრამ მისი წარმოდგენა დახელოვნებულ აქტრისის წარმოდგენას არ ჩამოუვარდებოდა.

პოლინას დის—იულინკას როლის წარმოადგენელს უფ. გოგიჯანოვისას არ წაუსდენია თვისი როლი.

თუმც ამ მანდილოსანთაგან წარმოდგენილნი როლები უმთავრესნი არ არიან, მაგრამ ჩვენ პირველად მიტომ მოვისსენეთ რომ, კუკუშინისთანა პოლინა და იულინკასთანა „ქალები“ ერთობ ძვიელ ხშირად არიან ჩვენს ესრედ წოდებულს „ინტელიგენციაში,“ რომელსაც განსაკუთრებით მოსამსახურე გვამების ოჯახობანი შეადგენენ.

ამ კომედიის გმირნი არიან: ყადოვი, ანანდოსობის წარმომადგენელი და მასთანვე მებრძოლი ძველი თაობის წარმომადგენელ „ჩინოვნიკების“ სიცუდლუტის წინააღმდეგ, და ვიშნევსკი და იუსოვი—ძველი ჯინშის ჩინოვნიკების წარმომადგენელნი, რომელთაც ვერას გზით ვერ გაუგიათ, თუ რაგორ შეიძლება ხელქვეითმა „ჩინოვნიკმა“ თავის უფროსის უგუნურს მოქმედებაზე თავისი მსჯელობა იქონიოს, და არც დასიზრმებიათ უქრთამოთ სამსახური. ამ გვარი კაჟ-ბატონები ოფველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ გზა გადაუჭრან და შეაბორძიკონ ყადოვის მსგავსები, თუ იგინი მათ ხელ-ქვეით სამსახურში იმეოფებიან.

ᲟᲐᲓᲝᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲠᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲣᲤ. Გ. ᲛᲔᲡᲮᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ. ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲟᲐᲓᲝᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ Გ. ᲛᲔᲡᲮᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲘᲢᲣᲕᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ „ᲙᲐᲠᲒᲐᲓ“ ᲐᲠᲓᲒᲔᲜᲓᲐᲡ, ᲗᲣᲛᲪ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚ ᲐᲥᲢᲘᲝᲠᲔᲑᲡ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲡ; ᲛᲐᲒ. ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲐ ᲨᲔᲑᲝᲠᲫᲘᲙᲓᲐ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲕᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ—ᲡᲣᲚᲛᲐᲜᲓᲐᲕ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ „ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲡᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘᲛ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔ ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲣᲠᲗ ᲜᲘᲨᲜᲘ ᲛᲘᲣᲒᲔᲡ ᲛᲐᲡ, ᲘᲒᲘ ᲣᲕᲘᲗᲔᲚ ᲗᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲙᲠᲣᲚᲘ, ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲠ ᲛᲚᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲡᲐᲕᲡᲐ ᲒᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲒᲐ,—ᲜᲔᲠᲩᲣᲚᲘᲡ ᲣᲚᲐᲞᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲭᲗᲥᲕᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲭᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ!

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲑᲐᲜᲔᲑᲐ ᲣᲤ. Გ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲠᲘ ᲩᲥᲐᲠᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ. ᲪᲔᲜᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲝᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲚᲮᲡ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲡ. ᲣᲤ. Გ. ᲛᲔᲡᲮᲘ ᲙᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲔᲡ, ᲠᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲣᲤᲝᲠᲝ ᲒᲣᲚᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲣᲝᲗᲘᲚᲘᲣᲧᲕᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲜᲘ.

ᲒᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲣᲤᲔᲠᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲣᲤᲐᲚ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲛ, ᲘᲛ ᲐᲜᲢ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲣᲧᲕᲜᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲗ თ. Გ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲓᲐᲕᲨᲘ“.

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲒᲝᲓᲔᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲬᲧᲔᲑ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲛ ᲣᲤ. ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲜᲪᲛᲐ. ᲓᲐᲓᲒᲝᲪᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲠᲝᲛ ᲜᲐᲕᲔᲢᲐᲠ ᲞᲘᲠ ᲛᲝᲗᲘᲜᲝᲑᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲩᲔᲜᲓᲔᲡ, ᲙᲐᲠᲒᲡ ᲘᲥᲛᲝᲓᲐ. ᲕᲣᲠᲩᲔᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲔᲩᲕᲘᲝᲡ.

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲔᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲑᲔᲚᲝᲒᲣᲑᲝᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ. ᲑᲔᲚᲝᲒᲣᲑᲝᲕᲘ ᲣᲛᲪᲠᲕᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲨᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲪ ᲗᲣ ᲐᲠ ᲐᲡᲔ, ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲚᲣᲛᲐ ᲨᲣᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲨᲝᲕᲜᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲗᲔᲡᲡ ᲣᲚᲝᲙᲐᲕᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲣᲣᲠᲝᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲬᲣᲚᲝᲑᲘᲗ „ᲡᲢᲝᲚᲝᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲝᲡᲡ“ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲝᲕᲜᲘᲚᲝᲑᲡ. ᲔᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲣᲤ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲚᲛᲐ.

ᲔᲠᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲠᲝᲚᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲔᲭᲕᲚᲐᲓ ᲠᲝᲚᲘ ᲒᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡᲐ. „ᲡᲘᲫᲕᲐᲑᲣᲚᲔᲨᲘ ᲡᲘᲣᲒᲐᲠᲣᲚᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲤᲣᲜᲓᲣᲚᲝᲑᲜᲘᲗ“ ᲥᲛᲐᲠᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘ ᲣᲐᲓᲝᲕᲡ ᲣᲬᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲡ. „ᲞᲘᲠ-ᲛᲝᲗᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲘᲣᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲗ,“ ᲞᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ, ᲣᲦᲘᲠᲡᲘ ᲡᲘᲣᲒᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲮᲝᲕᲣᲚᲝᲑᲡ ᲡᲘᲣᲒᲐᲠᲣᲚᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲤ. ᲒᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘ ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲪᲣᲦᲚᲣᲢᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲘᲡ ᲢᲔᲜᲘᲗ: ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲗᲣᲜᲒᲨᲘ ᲔᲑᲛᲔᲕᲐ, ᲪᲝᲚᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ: ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲔᲛᲐᲠᲗᲐᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲪᲝᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ: ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲔᲡ ᲡᲣᲚ „ᲭᲠᲗᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘᲐᲗ.“ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ, ᲠᲛᲐᲨ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲣᲡᲔᲐ ᲒᲘᲨᲜᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ. ᲔᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲣᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲣᲤ. ᲐᲜᲜᲐ ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐᲛᲔ. ᲔᲡ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲛᲐᲛᲘ ᲘᲧᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔ ᲐᲮᲜᲓᲔᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲥᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲕᲐᲠ.

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲪ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ. ᲛᲐᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ᲒᲘᲢᲣᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲠᲝᲚᲔᲑᲡ.

ᲘᲐ—ᲐᲘᲐ—ᲫᲔ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ 27 ᲐᲠᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲬᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲨᲘᲐᲪ ᲐᲥᲕᲐᲓᲘᲡᲘᲜ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲜ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲡ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲣᲥᲛᲘᲐ; ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲗ. ᲛᲐᲒᲚᲐᲓᲘᲗᲔᲑᲠ, ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲫᲚᲘᲗ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲪᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲜᲘ ᲨᲣᲛᲚᲐ, ᲒᲐᲠᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥᲕᲐᲓᲘᲡᲘᲜ ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲒ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲔᲒᲠᲘ ᲓᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲑᲔᲚᲒᲘᲙᲜᲘᲡ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲓᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠ-ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲓᲐ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚᲓᲐ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓ-ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲝᲜᲖᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ) ᲓᲐᲣᲛᲣᲥᲠᲐ ᲙᲘ-

დეც ოსმალეთს, რომ თუ ნებით ან დამეთმობით მაგ ადგილებსა, იძულებული იქმნები ძალა ვისმარაგო. მართალია ეს თუ არა, ეს იცის, მაგრამ საქმე კი ისევ ისა და არც წინ მიდის, არც უკან. ამ ტიხესიმაგრეების უფრესები სულ ერს გაიძახიან: მთავრობისაგან არავითარი ბძანება არ მოგვსვლია დაცლის შესახებ. საქმე ის არის, რომ ოსმალეთიც თავის მხრით ეუბნება რუსეთს—ეს ერ აგისრულებია შერიგების პირობებიო და მე რაღას მომდგომისარო; მაგრამ ჯერ სტამბოლს მოაშორე შენი ჯარიო, როგორც იგივე შერიგება ითხოვსო, და მერე მეც მომეთხეო. ახლა მოდი და მოაშორე, როდესაც ინგლისის ხომალდები და უშველებელი ზარბაზნები თვალებში შეგეტეტრიან. დახე ამ ეშმაკობას. ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ წამოყენებული საქმე სან-სტეფანოს შერიგებით ვერ გათავდებოდა; სულელი ხომ არა ვარო, —თითქო ამბობდა ოსმალეთი,—რომ დავემორჩილო იმ შერიგებასა, რომელსაც თვითონ გორჩაკოვმა წინა-შერიგება დაარქვა. მართლა და ოსმალეთს სულელობას ვერ დასწამებს კაცი. დახე რა მზადებაშია: შუმლისა და ვარნის შორის არსებობს მშვენიერად გაწყობილი ორმოცდა სუთი ბათალიონი ჯარი თოთხმეტის ბატარეითა; ბათუმს არტუკვს ოცდა ოთხი ბათალიონი და რვა ბატარეა; არზრუმისა და ტრაპიზონის შორის არსებობს თხუთმეტი ბათალიონი, ერზრუმისა და შუშის შორის—ორმოცდა სუთი ბათალიონი. რაც შეეხება სტამბოლს, მას არტუკვს ასოც ბათალიონისამდე. გალლიპოლში არის ოცდა ათი ბათალიონი. ერთის სიტყვით ოსმალეთი მტრის დასვედრას ემზადება და, რასაკვირველია, შარშანდელს უბედურებას არ მოელის, რადგანაც მარტო არ იქმნება.

მართალია უკელა ეს ჯარი დიდი არ არის, მაგრამ მაინც კარგი შემწეობაა ინგლისისათვის და სხვა სახელმწიფოთათვის, რომელნიც საქმეში მონაწილეობას მიიღებენ. რაც შეეხება რუსის მხედრობას, მის მდგომარეობას ბევრი საფუსარო რამ მოსდევს. ვიცით თუნდ სხვა და სხვა ვათმოთმობა, მეტადრე სახადი, რომელიც საშინლად ჭხოცავს ხალხს. მაგალითებრ. 39 დივიზიიდგან, რომელიც ერზრუმის მაზრაშია დაბანაკებული, ნახევარზედ მეტი (8,351 კაცი) ავად არისო, როგორც ამას წინად იწერებოდნენ გაზეთებში; ვათმოთმოთა უმთავრესი ნაწილი აქაიქა არისო გათვინტული, უექიმოთ, უწამლოთ; მარტო თოთხმეტი ათიტერიდა დარჩაო; სავათმოთმოთოებში ოვალ გვარი ნაკლულევანება არისო. ყარსიდამაც ამ გვარივე ამბავი ისმის. ერთის სიტყვით დიდი გაჭირება სუფევს, და თუ ომი აუცილებელია, საჭირო იქმნება უკანასკნელის ღონისა და ძალის დასმარება.

— ინგლისი, როგორც მოგეხსენებათ, ძლიერია თვის საომარ ხომალდებით, მაშასადამე მასთან ბრძოლა ძნელია იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ მხრით სუსტი და უძლურია, როგორც, მაგალითებრ, რუსეთი. ამიტომ უკანასკნელს დროში ჩამოვარდა ლაპარაკი თლოტის გამართვაზედ კერძო პირთა შეწევნით. ესლა „მთავრობის უწყებებში“ დაბეჭდილია საზოგადოებისადმი მიმართული წერილი, რომლითაც კერძო პირნი მიწვეულნი არიან შესწირონ რამ თლოტის დაარსებისათვის. ამ წერილში მოხსენებულია, სხვათა შორის, შემდეგი: „იმ დროს, როდესაც ჩვენი უწინდელი მტრები გვირიგდებოდნენ, ჩვენის ჯარის შორიახლო, მარმარილოს ზღვაში გამოჩნდნენ საომარ ხომალდები უძლიერესის ზღვის სახელმწიფოისა. ევროპის დასავლეთის კიდურზედ დაიწყეს საჭიროდ მზადება ომიანობისათვის. თვალი ბლომად იყო და ამიტომ ეს მზადება ძალიან გაძლიერდა. ჩვენის შერიგების პირობათა აღსრულება შედგა. რუსეთს არა მტრისა არ ეშინიან ქვეყნიერობაზედ. რუსეთში სუფევს მრავალი ქრისტეს-მოყვარე მხედრობა და მრავალი მილიონი სალხი, რომელიც მზიდრად გაჩს არტუკვს სახელმწიფო ტახტს. რუსეთს ყოველთვის ჭყავდა, ჭყავს და ყოლება კიდეც მინინიც და პაყარსკიც. ამ ყმად თუ რუსეთის ღმერთი ახალს ომიანობას უქადის წარსულის ომის ნაყოფის მოსამკელად და ჩვენის რჯულის მომძეთა სამუდამოდ გასანთავისუფლებლად, ყოველი ჩვენი ძალა ჰმმართულ უნდა იქმნეს ახალ ზღვაში და ოკეანში თავდაცვისათვის. შეეძლებათ კი ჩვენ ზღვის ჯარის კაცებს თავდაცვა? შეეძლებათ—ამიტომ რომ რუსები არიან. მათ ბლომად უნდა მიეცეთ სწრაფ-მავალი ხომალდები, და ისინი ახალის მტრის სუსტს ადგილს მალე იპოვიან. რამდენიმე ხომალდი ჩვენთა მამამცთა ზღვისა-ათიტრებთა წინამძღოლობით გაიფანტება ახალის მტრის ზღვის ვაჭრობის სხვა და სხვა გზებზედ და თვეს მოსდებს სავაჭროო ვაჭრობას. ამ მტერს ერთ წუთსაც რომ დაუდგეს ეს ვაჭრობა, ოქროს გრეკა, რომლითაც იგი

იქადის, დადნება... მართალია ჩვენ მოგზირდაბირეს ოქრო უფრო ბლომად აქვს ვიდრე ჩვენ, მაგრამ მთელ ქვეყნიერობაზედ არ მოიპოვება იმისთანა სალხი, რომელსაც უფრო მეტად უყვარდეს თვისი სამშობლო ვიდრე ჩვენ, რუსებს, გვიყვარს ჩვენი სამშობლო რუსეთი, ჩვენი მამა—სულმწიფე, და კაი იმას ვინც ეჭვნეულობს ამაში ესლა, რადესაც ჩვენმა მამამ—სულმწიფემ ნება-რთვა დასდგა კერძო ფოლოტის გამართვისა თვისის ძის-მემკვიდრის ზედამსედველობის ქვეშ ჩვენის სამშობლოის დაცვისათვის. გახსენოთ ღმერთი და შევწიროთ რაც შეგვიძლიან, და არ დავიიწყოთ, რომ ჩვენ უკელანი მზათა ვართ, თუ მტერი მოგვადგა, სულსხლად მკერდი მიუშვიროთ ჩვენის პატიოსანისა და მართალის საქმის დაცვისათვის; ვინც დაიწყობს—კურთხეულ არს »

— ზემოდ მოგახსენეთ, რომ ოსმალეთი ბათუმს ჯერაც არა ჭსთმობს მეთქი. ინგლისსაც რასაკვირველია ეს უნდა. აი რას იწერება გაზეთის «Times»-ის ბათუმელი კორრესპონდენტი: «ოსმალეთის ჯავშნიანი ხომალდები ჯერაც დგანან ბათუმში და იცვენ ქალაქს ოსმალეთის მთავრობისათვის; ტორპედებიც თავთავის ადგილს არიან. ჩემის აზრით ინგლისში ძალიან მტირე მნიშვნელობას აძლევენ ბათუმს და იმ ზედმოქმედებას, რომელიც ექმნება ამ ნავ-სადგურის დათმობას რუსეთისათვის ჩვენს ვაჭრობაზედ შუა აზიაში სპარსეთიდ. ბათუმი მდებარობს გზის მოშორებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, და კავკასის ვაჭრობა ასე მტკიცედ არის რუსეთის მიერ დაფარული უცხო ქვეყნელთაგან, რომ არც ერთი ხომალდი ინგლისისა არასდროს არ შედის ბათუმში. შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირას ბოსფორიდამ მოეოლებული ვიდრე კერჩის სრუტემდე სინოპის გარდა, არც ერთი ნავსადგური არ მოიპოვება, რომელშიაც ოოველს გემს შეეძლოს უშიშრად დგომა მთელის წლის განმავლობაში. ბათუმში ზღვა ისე ჩაღრმავებულია, რომ თვით უდიდესს ჯავშნიან ხომალდს შეუძლიან ზედ ნაპირას მიუდგეს.» კავკასიის ვაჭრობა მთლად ბათუმზედ მიმდინარობს, რომელიც, ჩვეულებრივ, გაჭედილია რუსის გემებით. ბევრი მილიონი ფული დასარჯეს რუსებმა ფოთში ნავსადგურის გაკეთებისათვის, მაგრამ არა გამოვიდა რა, რადგანაც ზამთრის ქარი სრულიად აფუჭებს ზაფხულით ნაშენს. დიდი ხანია რაც რუსეთის დიპლომატია ცდილობს ბათუმის შეძენას, და ამ დიდ-ჭკვიანის დროს დია ფულსაც იძლეოდა შესაძენისათვის. გეზიერთ უხუცესი ჭკვიან-ნელიმი ყაბულს იყო, მაგრამ მთავრობის სხვა წევრნი ცრუზედ იყვნენ და ამიტომ რუსეთს ვერ მოუხდა ბათუმის ყიდვა. რუსები ამბობენ—ბათუმი ბუნებითი ნავსადგურია კავკასიისა და ამიტომ ჩვენ გვეკუთვნისო, როგორც საქართველოის მფლობელთა. ეველა ეს ერთად მართალიც არის და საკეთილოც იქმნებოდა რუსეთისა და საქართველოის შორის მიმოსვლისათვის,—საქართველოისა, რომელიც გინიოფეება დანარჩენ რუსეთისაგან ბუნებითის საზღვრით—მთებით. რუსეთს რომ თავისუფალი ვაჭრობა შეეძინა და არავითარი დაბრკოლება არ მიეცა ინგლისის საქონლის შემოზიდვისათვის, მაშინ ბათუმის გარდაცემა უფრო მეკვიდრეს ხელში, ვიდრე ოსმალეთია, ინგლისელებისათვისაც სასარგებლო იქმნებოდა. მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ რომ რუსეთი ინგლისის მოიღეა სპარსეთისა და შუა-აზიის ვაჭრობაში. ხოლო იმიტომ კი არა რომ რუსის საქონელს შეეძლოს ცილობა ინგლისელ საქონელთან ვარგისობაში, არამედ იმიტომ, რომ რუსის საქონელი უფრო იაფად გაიყიდება. რუსეთი რა კი ბათუმს ჩაიგდებს, მაშინვე რკინის გზის გაყვანას დაიწყებს, რომელიც სპარსეთის საზღვარს მიუდგება და ტფილისს შეერთდება გუმბრის (ალექსანდროპოლის) შტოითა. ამ გვარად რუსები გაძლიერდებიან და რაც უნდათ იმას იქმონენ ინდოეთში, სადაც სრულიად ამოსწყვეტს ინგლისის ნაწარმოებებს. უპირატესობა ექმნება, რასაკვირველია, იმ საქონელს, რომელიც რკინის გზით იქმნება შემოტანილი, ვიდრე იმას, რომელიც აქლემებით იქმნება მოზიდული ტრაპიზონიდამ სპარსეთში. კარგი რომ ამ გარემოებას დროზედ მიაქციეს ყურადღება. მე ნამდვილი ცნობა მაქვს შეკრებილი იმ რკინის გზის შესახებ; ჯერ-ჯერობით ამზად არის, ანგარიშიც შედგენილია და საქმე მხოლოდ ბათუმის დაცლაზედ არის მიკარდნილი; გაკვლენ თუ არა ოსმალნი ჯარები, მაშინვე მუშაობა დაიწყობა. მიგვიჩნია ზოგიერთს რეგორ არ ესმით ბათუმის მნიშვნელობა, რეგორც ნავსადგურისა; არ ესმით თუ რას უქადის ინგლისის ვაჭრობას ბათუმის დათმობა რუსეთისთვის.» კორრესპონდენტი იმ აზრისაა, რომ ბათუმი ინგლისელებმა უნდა ჩაიგდონ ხელშიო, რკინის გზები გაიყვანონო, შიგნით ქვეყანაშიო.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ*)

ᲖᲐᲡᲣᲚᲘᲩᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

(ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲖᲐᲡᲣᲚᲘᲩᲘᲡ ᲕᲔᲥᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡᲐ)

(ᲒᲔᲛᲫᲔᲒᲘ**)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲡᲯᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲤᲠᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲡᲐ: ᲠᲐᲪ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲗ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲜᲣ ᲮᲕᲘᲚ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕ-ᲡᲘᲪᲔᲛᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲥᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲭᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ, ᲠᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲝᲗᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲬᲘᲗᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ. ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲕᲐᲠᲗᲝᲗ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠ ᲒᲕᲪᲐᲓ, ᲒᲐᲪᲐᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲩᲜᲔᲑᲣᲚ; ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲓᲐᲕᲘᲮᲡᲝᲗ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲐ, ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲡᲘ ᲣᲛᲫᲘᲠᲝᲕᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲫᲚᲔᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲘᲛᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲐ, ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲡᲘ ᲣᲛᲫᲘᲠᲝᲕᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲫᲚᲔᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲘᲛᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡ ᲛᲔᲣᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲣᲜᲯᲕᲘᲗ ᲘᲛ ᲛᲝᲮᲣᲪᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲘᲪ ᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲓᲐᲜ, ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲘᲪ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲒᲕᲬᲚᲘ ᲓᲐᲭᲘᲡᲓᲔᲡ ᲓᲘᲓᲗᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲓᲠᲝᲓ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲜᲐᲢᲒᲠᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕ ᲙᲢᲝᲠᲓᲐᲗ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ.

ᲑᲝᲒᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲡ, ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲣᲚ ᲭᲘᲠᲓᲐ ᲣᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲮᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲘᲧᲝ ᲙᲢᲝᲠᲓᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲗ. ᲣᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲮᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲢᲝᲠᲓᲐ—ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲙᲜᲝᲠᲜ-ᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ. ᲣᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲮᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲢᲝᲠᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲡᲓᲔᲕᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲠᲘ ᲭᲘᲠᲓᲔᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ. ᲐᲥ ᲯᲔᲠ ᲒᲘᲓᲔᲕ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐ. ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲪ ᲨᲔᲣᲙᲔᲜᲓᲐ ᲡᲗᲔᲠᲡ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘᲡᲐᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲘ, ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲯᲣᲚᲘᲡ ᲛᲒᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲡᲯᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲪᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲪᲮᲝᲚᲓᲘᲗ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲔᲕᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲗᲘᲜᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲮᲝᲚᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲗᲔᲠᲡᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ; ᲡᲪᲐ ᲨᲔᲛᲐᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲣᲓᲝᲜᲝᲐ ᲭᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ, ᲡᲪᲐ ᲣᲝᲒᲔᲚᲘᲕᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲛᲔ ᲕᲘᲛᲑᲝᲠᲑ, ᲡᲗᲔᲠᲡᲗᲐᲜ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲡᲗᲔᲠᲡᲗᲐᲜ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡᲐᲡ, ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲡᲗᲔᲠᲡᲗᲐᲜ ᲣᲝᲒᲔᲚ ᲛᲘᲡᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲗ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲪᲛᲐ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲘᲗ, ᲖᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲒᲡᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲖᲜᲝᲛ, ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲛᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲛᲐ, ᲐᲜᲣ ᲥᲣᲠᲓᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲪᲐᲠᲝᲜ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲫᲘᲠᲐᲕᲜᲘ ᲬᲔᲚᲜᲘ ᲢᲣᲡᲝᲑᲘᲡᲐ, ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲤᲮᲘᲚᲝᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲙᲐᲢᲝᲠᲓᲘᲡᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲐᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲛᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲓᲒᲠᲐ, ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲡᲐᲗᲘᲡᲬᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲣᲝᲕᲔᲚ ᲛᲐᲡᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲡᲗᲔᲠᲡᲗᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲪ ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ, ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲗᲛᲔᲚᲘ, ᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ, ᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲣᲦᲛᲠᲗᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ. ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲕᲔᲚᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲨᲣᲛᲫᲘᲚᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲬᲐᲠᲗᲝᲕᲡ ᲒᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲩᲐᲠᲗᲝᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲘᲡᲮᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲥᲠᲝᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐᲡ, ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲠᲩᲔᲑᲘᲡᲐᲡ; ᲕᲔᲠᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲕᲔᲠ ᲨᲔᲬᲚᲘᲡᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲗᲓ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲑᲡ, ᲕᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲩᲔᲑᲐᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲐᲠ ᲫᲚᲣᲛᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲘᲛ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲛᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲘᲡᲒᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲘᲡ ᲡᲣᲤᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲝ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲒᲒᲕᲒᲜᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲛ ᲡᲣᲤᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲐᲣᲤᲔᲡ ᲑᲝᲒᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲡ,

*) ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡᲐ (ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ) ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲛ ᲔᲗᲕᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ „ᲘᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ.

**) „ᲘᲔᲠᲘᲘ“ №№ 15, 16, 17. 1878 Წ.

მაშინ ადვილად გასაგებია ის ამამღვრეველი მძიმე გრძნობა გულის-წყრომისა, რომელმაც გარე მოიცვა ყველა, ვისაც კი არ ძალუძს გულგრილად ყურება მოუვასის ზნეობითის წამებისა.

ბოგოლიუბოვის სამარცხვინო სასჯელის ამბავს ზასულიჩმა შესწყალა როგორც გაუპატიურებას, შეგინებას ადამიანის ზნეობითის ღირსებისას, ღრმად იგრძნო ეს გაუპატიურება და აღელდა. ბოგოლიუბოვი მისი რა იყო? იგი არც ნათესავი იყო, არც მეგობარი. მისი ნაცნობიც არ იყო: თავის დღეში არც უნახავს, არც გაუცვნია. სოლო იმისათვის, რომ კაცს გული აემღვრას ზნეობითად გასრესილის კაცის დანახვაზედ, ანუ გულზედ მოვიდეს, როცა უმწეო კაცს სამარცხვინოდ თავზედ ლაფს ასხმენ,—განა ამისათვის კაცი უსათუოდ ან და უნდა იყოს, ან ტოლი, ან საყვარელი? ზასულიჩისათვის ბოგოლიუბოვი საპოლიტიკო ტუსაღი იყო, და მას ამაზედ მეტიც არ უნდოდა. საპოლიტიკო ტუსაღი ზასულიჩისათვის ისე უსახო არსება კი არ იყო, წიგნებიდამ ამოკითხული, ანუ ამბათ გაგონილი, ან სამკვერო გასაჩენებიდამ ცნობილი, რომელიც ოკეკელს პატიოსან კაცში ჭაბადავს ხოლმე გრძნობას სიბრალულისას, გულმტკივნეულობისას, გულითად-თანაგრძნობისას. საპოლიტიკო ტუსაღი ზასულიჩისათვის—თვითონ ზასულიჩი იყო, იყო მისი მწარედ განვლილი წარსული, მისი საკუთარი ისტორია, ისტორია საკუნოდ დაღუპულთა წელთა, წელთა უკეთესია და უძვირფასესთა ოკეკელის კაცისათვის, რომელსაც არა ჭსწვევია მძიმე ხვედრი, ზასულიჩის მიერ გამოცდილი. საპოლიტიკო ტუსაღი ზასულიჩისათვის იყო მწარე მოგონება მისის საკუთარის ტანჯვისა, მისის გულის მილეკისა, მუდამის შიშისა და მღელვარებისა, მუდამის ფიქრისა მასზედ თუ: ნეტა რა შემეცოდნია? ნეტა რას მიზმენ? ნეტა როდის მოელება ოკეკელს ამას ბოლო? საპოლიტიკო ტუსაღი თვით მისი გული იყო; ამ გულის უზრდელად ხელის ხლება ტკივილად გადექცეოდა ხოლმე მის ტეცხლ-მოკიდებულს ბუნებასა.

სოფლად, მიურუებულს ადგილას გაზეთებისაგან მოტანილმა ამბავმა უფრო ძლიერ იმოქმედა ზასულიჩზედ, ვიდრე იმოქმედებდა აქ დედა-ქალაქში. იქ ზასულიჩი მარტო იყო. იქ თავის ფიქრებს ვერავის განუზიარებდა, იქ არავისაგან ერთის გულშემატკივარს სიტყვასაც ვერ მოისმენდა იმ საგანზედ, რომელიც აწუხებდა. არა, ჭეიქრობდა ზასულიჩი: ეს ამბავი უსათუოდ ტყუილია; თუ ტყუილი არა, გადამეტებული მაინც კი უნდა იყოს. ნუ თუ ეხლა, ამ ჩვენ დროში შესაძლოა ამისთანა ამბავი? ნუ თუ ოცის წლის ბრალგრესმა, ზნის მორბილებამ, ადამიანურად მოპყრობამ ტუსაღისამ, სამართლისა და საპყრობილის განკარგვამ, ძალა-მომრეობის დალაგმებამ, ნუ თუ ოცის წლის ღვაწლმა ადამიანისა და კაცურის ღირსების აღმატებისათვის უქმად ჩაიარა და ოკეკელიც ეს საუკუნოდ დაიწყებას მიეცა? ნუ თუ იმ მძიმე სასჯელს, რომელიც ბოგოლიუბოვს განუჩინეს, მოუნდა კიდევ დასამატებლად უფრო სამძიმო შეგინება მისის კაცურის ღირსებისა, შეგინება ოკეკელ მისი, რაც ოფიცერ თვით ბოგოლიუბოვი, რაც მიუცია მისთვის სწავლასა და განათლებასა? ნუ თუ კიდევ საჭირო იყო ჩამოურეცხელი სირცხვილი მიეუენებინათ მაგ,—ვჭსთქვათ, დამნაშავესათვის, მაგრამ მაინც კიდევ არ საზიზღარ ადამიანისათვის? ან იქნება, ჭეიქრობდა ზასულიჩი, ბოგოლიუბოვი გადახდა რომელსამე წესს ტუსაღობისას. ეს საკვირველი არ არის განმარტოებით დამწყვდეულის ტუსაღისაგან, რომელიც ამის გამო ოკეკელთვის გულზედ მოსულია და გაბოროტებული. იქმნება თავი ვერ შეიმაგრა და დაეშვა რამე. ხოლო ამ გვარ დანაშაულობისათვის, თუნდ რომ გადასახდელიც იყო, რაცა დამნაშავე თავის გუნებაზედ არ არის,—განა საპყრობილის მმართველთ სხვა სასჯელი არ მოეპოვებათ, თუ არ რაზეგი? თუნდ ეგეც არ იყოს, გაზეთის ამბავი რა დანაშაულობას აბრალებს ბოგოლიუბოვს? ქუდი არ მოუხადია, რაცა მეორედ წინ შემოეყარა საპატიო კაცი? არა, ეს მართალი არ იქნება, ანუ-გეშებდა თავის თავს ზასულიჩი; დავიცადოთ, უსათუოდ ეს საქმე ისე არ იქნება, როგორც გაზეთებშია წარმოდგენილი. მაგრამ არც არავინ ახსნა, არც არავინ უარყო, არც ხმა იყო, არც კრინტი. ხმის ამოუღებლობამ არ დაუზუმა ზასულიჩს აღელვებული გრძნობა. ხელახლად წარმოუდგებოდა ხოლმე ატაცებულს გონებას ქალისას სახე ბოგოლიუბოვისა, სამარცხვინო სასჯელით დასჯილისა და ტეცხლ-მოკიდებული ტკივი ცდილობდა გამოეცნო, ეგრძნო ოკეკელივე ის, რასაც იგრძნობდა საწყალი ბოგოლიუბოვი. თვალწინ ესახებოდა სულის შემაზზარენი სურათი. მაგრამ ეს მარტო სურათი იყო საკუთარის გონების თვალისა, არათერით არ იყო დამტკიცებული, არ იყო შემოწმებული მნახველთა და სასჯელ-

ზე დამსწრეთა ნაამბობითა. მალე შეესწრო ერთსაც და მეორესაც.

სეპტემბერში ზასულიჩი პეტერბურგში იყო. აქ კი შეეძლო შეეტყო მართალი თვით მნახველთაგან, ანუ იმათგან, ვისთვისაც თვითონ მნახველთ ეამბნათ. რაც აქ უთხრეს იმისთანა იყო, რომ ამდვრეულს გრძნობას ვერ დაუშოშმანებდა გაზეთის ნაამბობში არაფერი წამატებული არა გამოდგა რა. პირიქით, აქ იმისთანა ამბავი შეიტყო, რომელიც ადამიანს უფრო გააბოროტებს. ესლა კი ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაგონილ ამბებიდამ ძალი არ იყო ზასულიჩს შეედგინა ნამდვილი სურათი „ეგზეკუციისა.“ წარმოუდგა თვალწინ ფერმკრთალი, შეშახებული ფიგურა ბოგოლიუბოვისა, რომელმაც არ იცის რა შეუცოდნია და რას უმზადებენ; წარმოუდგა თვალწინ სნეული სახე ტუსაღისა. ეი მიიუვანეს იგი „ეგზეკუციის“ ადგილს თავზარდაცემული იმ სამარცხვინო ამბისა გამო, რასაც მას უპირებდნენ; ეი იგი მთლად გაბოროტებული დგას და ჭგონია ძალა გაბოროტებისა მიანიჭებს სამსონის ღონეს, რათა წინა აღუდგეს სასჯელის აღმსრულებელთ ხროვას; ეი წამოაქციეს კიდეც იგი და ამოდგეს ხალხი ზედ დაეწვა მხრებზედ, რომ არ გაინძრას; ეი ზასულიჩი ხელვეს ბიწაზედ გაშლართულს, სამარცხვინოდ ჩახდილს, რამდენიმე წყვილის ხელით მიჭედილს და ღონე მიხდილს,—ამ სურათს აგვირგვინებს წუობილი შუილი წკეპლისა და წუობილივე თვალ დანაკრავისა „ეგზეკუციის“ კეთილშობილ გამგებელის მიერ. უკვალ ამ ხმა გაკმინდა და თრთოლით ელოდა სხვერპლის კვნესას; აღმოხდა ის კვნესაც.... იგი არ იყო ხორცის ტკივილის კვნესა, არა, მაგნაიჩის კვნესის იმედი არ ჭქონდათ,—ის იყო მწვავი კვნესა მიწასთან გასწორებულის, შეგინებულის ადამიანის ღირსებისა. სამარცხვინო სხვერპლი შეწირულ იქმნა....(ტაშის კვრა და მადლად ძახილი: ბრავო).

თავ-მჯდომარე. აქ მეოთვთა უნდა იქონიონ პატივისცემა სამსჯავროსი. აქ თეატრი არ არის. მოწონებას თუ დაწუნებას აქ ადგილი არა აქვს. თუ ხელმეორედ მოხდება ეს ამბავი, შე იძულებულ ვიქნები დაგითხოვოთ აქედგან.

(შემდეგი იქმნება.)

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔᲓ.

(შემდეგი *).

VII

ოთხს საათს შემდეგ ხელახლად მოჰყვნენ საქმის განხილვასა. თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება ეიჰსცა ბრალდებულს.

ბრალდებული. დიახ, ჩემო ბატონებო! ისე ვცხოვრებდი ტყეში როგორც მოგახსენეთ. ერთხელ საღამოს ჟამს, სახელდობრ 3 აგვისტოს,—ეს რიცხვი თქვენ უეჭველად ჩაწერილი გექმნებათ—დიახ 3-ს აგვისტოს მშვენიერს მთვარიანს ღამეს ვილაცამ დამირაკუნა კარი. ესე ათი საათი იქნებოდა. ჩემი სადგური ბუნაგი ოთხის ფიცრისაგან იყო შემდგარი თავის თავ-სახურავითა. შინ ვიქნებოდი, თუ ტყეში დავიარებოდი, კარს არ დავკეტდი ხოლმე. კარი დამირაკუნეს მეთქი. წელიწადში ორჯერაც ამისთანა რამ არ მომიხდებოდა ხოლმე. მე ისე ვექცევოდი ხოლმე ხალხს, რომ არა მგონია ბევრსა ჰქონოდეს ქეიფი ჩემთან მოსვლისა; ბოლოს ხომ ჩემი შიშიც მიეცათ.

თქვენ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო მოვიდოდა ჩემთან ვინმე თუ არ მოვიდოდა: არავისგან არ ველოდი არას ფერს და არც არავისი ფიქრი და შიში მქონდა.... როცა დამირაკუნეს, მე ვიწექ ბნელაში, ქვეშ ხმელი ფოთოლი მეშალა და ვფიქრობდი სხვა და სხვა საგანზედა. კარის დირეზედ, კარის შავს უჯრაში მთვარის შუქზედ კაცის სახე დავინახე. არ ვიცი რისგან კი და გულმა ძალიან ცემა დამიწყო. მერე ცივმა ოფლმა დამასხა, როცა იმ კაცის ხმა მეცნო. იმან დამიძახა:

— ხარ ვინმე აქ, თუ არა? გზა ამერია.....

ის ხმა იყო კრისტოვალისა, ვიევილის ყასბისა. მე მაშინვე ფეხზედ წამოვხტი და მივეყუდე კედელს, ტანში მციოდა და ეკანკალებდი, თითქო საფლავიდამ ეხლა წამოვდექიო. მე არ მინდოდა თავი გამომეჩინა, არ მინდოდა ხმა ამომეღო—მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოვახერხე. ჩემთა ბაგეთაგან ალმოხდა ხმა:

---

*) «ივერია» №№ 14, 15, 16, 17. 1878 წ.

— კრისტოვალ!... თქვენა ხართ?

— ეს რა ქაჯმა მიცნო მე აქ, აბა დამენახვეთ, თუ გინდათ, რომ პასუხი გაგცეთ.

მე სხვა და სხვა ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობა ამეშალა. ერთსა და იმავე დროს ვგრძნობდი დიდს სიამოვნებასაც, რომ ვხედავდი კაცს, რომელმაც ამდენი მართლა ბედნიერნი წუთნი მაგემა ჩემს სიცოცხლეში და დიდს თავზარსაცა, რომ ეგრე მოულოდნელად პირის-პირ წარმომიდგა იგი, ვინც ამიშალა ჩემი ბოროტნი გულის თქმანი. ამაოდ ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ ეს მისდა უცნაურად მოხდა,—მაინც რაოდენიმე მტრობა ამ კაცისადმი იძეროდა ჩემს გულში. რამდენჯერ მარტოდ ყოფნის დროს დამიწყევლია ამ კაცის ზედმოქმედება მთელს ჩემს სიცოცხლეზედ!

პირველს წუთს კი მარტო მისი ჩემდამი კეთილი სურვილი გამახსენდა. ამის გამო გავუწოდე ხელი და ვუთხარი:

— ეხლავ უნდა გითხრათ, ვინცა ვარ, თორემ უამისოდ ვერ მიცნობთ, თუნდა აქ ისეთი ნათელიც იყო როგორც შუადღისას; ვერ მიცნობთ, იმიტომ-რომ მწუხარებისაგან და ნადირულ ცხოვრებისაგან სულ გამახინჯებული ვარ.... ნება მომეცით მოგესალამოთ და მოგეხვიოთ. მე ჟორჟი პიდენიე ვარ, თქვენი ძველი ქარგალი.

— მაშ რაც შენზედ გაგონილი მაქვს სულ მართალი ყოფილა?—მითხრა იმან, მომხვია ხელი და გულზედ მიმიკრა.

VIII

მე ქარგა ხანს დავრჩი იმის გულზედ მიყრდომილ. ასე მეგონა, რომ შეხებამ ამ კაცისამ, რომელიც მამის ჩემის და დედის ჩემის სიკვდილს აქედ არ მენახა, გამიცოცხლა ჩემნი საყვარელნი მოხუცი მშობელნი და მათთან ჩემი სასიხარულო ყოფილი ცხოვრებაცა. გული ხელახლად ამიყვავდა, თითქო გადახალისდაო.

— რა რიგად მიამა შენი ხელახლად ნახვა! მეუბნებოდა ყასაბი: ჰსჩანს უნიზეზო არ არის, რომ მე აქ ბედმა მომიყვანა!

— მართლა და, რამ მოგიყვანათ ამისთანა უდაბურს ალაგს და მასთანავე აგრე გვიანაც?

— შინ მივდიოდი და გზა დავკარგე. აი ორი საათია რაც დავეხეტები უგზო-უკვლოდ ამ ტყეში და ერთი ხორციელი ადამიანიც არ შემხვდა.... ეხლა კი არ ვნანობ ამას, იმიტომ რომ ბედმა შენთან მომიყვანა, აქ შენთან დავრჩები ამალამ.

— ოჰ, არა,— ეგ შეუძლებელია....

— შეუძლებელიაო? რატომ?

— მე არ მინდა თქვენ აქ დარჩეთ. მე გზას გაჩვენებთ ასე რომ ორის საათის განმავლობაში გარიჩში მიხვალთ. მე თვითონ გაგაცილებთ ცოტას; გზა და გზა მოვილაპარაკებთ, რაც გვინდა.

— ვერაფერი სტუმრის მოყვარე მასპინძელი ჰყოფილხარ, სწორედ მოგახსენო! კარგად დახვედრა გცოდნია სტუმრისა, ნამეტნავად ამისთანა ძველის მეგობრისა, როგორიც მე ვარ!... ხუმრობა გაშვებით, და იქნება იმის ფიქრი გაქვს, რომ მე კაი ქვეშაგები არ მექმნება. ამაზედ შენ ნუ ჰსწუხარ. მე მინის ნამტვრევებზედაც ისე დამეძინება, როგორც მკვდარს. გარდა ამისა მე და შენ ამდენი სალაპარაკო გვაქვს, რომ თუნდა მთელს დამეს გაგწვდება.

— გზა და გზა ვილაპარაკოთ.....მე არ მინდა, რომ თქვენ ლამე აქ გაატაროთ...

— შენი ნებაა! .. მე მეტიჩარობას არ გაგიწევ, რაკი ასე კარგად მიიღე შენი ძველი ოსტატი, ის კაცი, რომელმაც თითქმის მკვდარი გაგაცოცხლე და ეგრე ჯანმრთელ კაცად გამოგიყვანე!... შენ სწორედ მგელი ყოფილხარ, ჩემო მეგობარო!

— მაგას მე თქვენს საკეთილოდ ვამბობ, დამიჯერეთ მე..... გარედამ კი ნუ ჰსინჯავთ, ცხრამეტში ოცჯერ შეჰსცდებით. .. აქედამ თუ გითხოეთ, მარტო თქვენის სიყვარულით მომდის.

— ეჰ, ჩემო ძმაო, მე ვხედავ რომ მართალი მითხრეს: შენ სწორედ ჭკუიდამ შეშლილი ყოფილხარ თითქმის.... მე კი ლამაზად დავიძინებდი აქ ხმელს ფოთოლზედა და!... რაკი არ გინდა, სხვა რა გზაა, წავიდეთ!

IX

ჩვენ გზას შევუდექით. რაც უნდა მოეცათ, მე იმ კაცს ჩემს გვერდით არ დავაძინებდი. თქვენ იცით რა მიზეზითაც: მე ჩემის თავის იმედი არა მქონდა. ამ დენის წლის მარხულობის შემდეგ, ვინ იცის, იქნება ამშლოდა ჩემნი გულის თქმანი.

X

გზაზედ კრისტოფალმა ვიევილის ახალი ამბები მიამბო და მათ შორის ყველაზედ უმთავრესი ის, რომ რამდენიმე თვის წინად მკვლელი ლიუროტასი, პოლიციის მოხელისა, მღვდლისა, მეწვრილმანისა და მეურმისა დაიჭირესო. ეს გავიგონე თუ არა ცახცახი მომივიდა, დავბერბაცდი და კინალამ არ წავიქეცი; თვალთ დამიბნელდა, სისხლი თავში ამივარდა. როცა მაღლა ავიხედე, მთვარე, ხეების ტოტებიდამ მაყურებელი, ჯიგრის, სისხლის ფრად მომეჩვენა.

— რა ამბავია? რა დაგემართა? მითხრა ყასაბმა და მოვიდა ჩემთან, რომ მომეშველოს.

— ხელს ნუ მამაკარებთ, ხელს! შევძახე მე: მე არ მინდა, რომ თქვენი ხელი შემეხოს!... მე არაფერი დამმართვია.... თქვენ წადით თქვენ გზაზედ....

— არა, შენ ნამდვილად გიჟია ხარ და ბნედიანია!... შენ სწორედ მხეცსავით სოროში უნდა იცხოვრო.... ადამიანთან ყოფნა შენი საქმე არ არი....

ერთი ორი წუთი ხმა ამოუღებლივ გავჩერდით. ბოლოს ცნობის მოყვარებამ ამიტაცა და ვკითხე:

— მკვლელად ვინ აღმოჩნდა? ვინ დაიჭირეს?

— შენ იცნობ: ის შენი ადრინდელი მეგობარია, ანტიმ ლებეგი, ჩვენის ნოტარიუსის თანაშემწე.

— რაო? ანტიმა და კაცის მკვლელი!..... ჰსტყუიან, ვინც ამას იტყვის. მთელს ვიევილში კაცი არ არის იმაზედ უკეთესი.... ვერაფრის მაქნისები ყოფილხართ, სწორედ მოგახსენოთ! როგორებიც იყავით, იმისთანავე ხართ ეხლაც, როგორც ვხედავ!... აბა ეგ რა მოგიგონიათ: ანტიმი კაცის მკვლელიაო!... რა უყვეს იმ უბედურსა?

— რასაც უზმენ ხოლმე ყოველს მის მგზავს: ჯერ ჩასვეს ციხეში; მერე გამოძიება მოახდინეს... მერე მსჯავრი დასდეს. მთელი ექვსი თვე გაგძელდა ეს საქმე. გეში მეტად ცხადი იყო...

— რა გეში იყო!

— პირველი რომ ლიუროტას ჯიბეში იპოვეს ბარათი ანტიმასი; ჰსწერდა რომ შენთან მოვალო თორმეტის ნახევარზედ.

— მერე რაო რომ ჰსწერდა?

— ისაო, რომ ის საძაგელი სწორედ იმ დროს ყოფილიყო იმასთან, როცა უბედურება მოხდა.

— განა ცოტა მაგალითებია, რომ წასვლას სადმე დავაპირებთ ხოლმე და ბოლოს კი აღარ წავალთ?

— ანტიმა გატყდა და ჰსთქვა, რომ მე სწორედ წავედიო. მაგრამ ჰფიცავდა, რომ კარები დაკეტილი დამხვდაო, ვარახუნე კარიო, და ფანჯარაო და პასუხი არავინ მომცაო, თუმცა ოთახებში სინათლე იყოვო. მაშინ მოვერიდე რომ ქალს საბელი არ გაუტყდესო და უკანვე დავბრუნდიო. აბა კარგი მოგონება ეს არის აი.

— მითამ რათაო? განა არ შეიძლება ყოველივე ეს მართალი იყოს.

— არ შეიძლება, იმიტომ—რომ კარის კლიტის გასაღები მერე გზაზედ იპოვეს. კარი შიგნიდამ არ ყოფილა დაკეტილი.

— სხვას, ნამდვილს მკვლელს კი არ შეეძლო განა კარი დაეკეტნა გამოსვლის დროს?

— ანტიმას წაღის ძირზედ სისხლი უპოვეს...

— აბა ერთი ეგ არის დაურღვეველი საბუთი! ლიუროტას იმოდენა სისხლი წასქდა, რომ მისი ნამდვილი მკვლელი ძალიან ადვილად გაისვრიდა სისხლში ფეხებს და მერე, როცა გამოიქცა, მოსვარა სისხლითვე კიბის საფეხური. ასეთ ნაირად წაჰსქდა სისხლი, რომ კაცს შეეშინდებოდა...

— შენ ეგ საიდამ იცი?

— მე?... მე იმისთანა არა ვიცირა.... მე ის ვიცი, რაც სხვამ იცის. მაგრამ აქ ბრმაც კი დაინახავდა, რომ ანტიმას აქ არაფრის ბრალი არა აქვს. ვითომც თქვენც ავაზაკი გიპოვნიათ რაღა, ვაი თქვენს მტერს!... დანით საქმობა განა ყველას შეუძლიან?..

— არა, შენ ეს მითხარ: შენ საიდამ იცი, რომ ლიუროტას ძლიერ წაჰსქდა სისხლი?... ან რა მიზეზია, რომ შენ ასე ჰსცხარობ.... ჰსცხარობ.. თითქო შენ რასაც ამბობ, იმაზედ მეტიც რაღაცა იცი. თუ ეს მართალია, წადი ჩქარა, გამოაცხადე, თორემ ავ-კაცობა იქმნება შენის მხრით, იმიტომ-რომ ანტიმას ამ ერთს კვირაზედ თავსაც მოჰსჭრიან. მაშასადამე ღირს, რომ ამისათვის ჯაფა გაჰსწიოს კაცმა.

— მე... არა ვიცი რა... მე ის ვიცი, რაც სხვამაც იცის.

— აბა პირ-და-პირ შემომხედე.

— აჰა, შემოგხედე... მერე რაო?

— შენ დიდი მეგობრობა გქონდა ანტიმასთან.

— მართალია.

— რა მიზეზით გავვარდნილხარ ტყეში და სცხოვრებ მგელსავით?

— ეგ ჩემი საქმეა. მგონია, რომ მოვალე არა ვარ ვინც შემხვდეს ყველას ვუამბო ჩემის საქმის ვითარება.

— იცი, რას გეტყვი. შენ რომ ანტიმასთან ერთად მაგ საქმეში რეულიყავ, მე სულაც არ ვამიკვირდებოდა.

— მადლობას მოგახსენებ მაგისათვის... მე მგონია, ცუდი არ იქნება მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ და თავ-თავის გზაზედ წავიდეთ. აი თქვენი გზა... მშვიდობით ბძანდებოდეთ... ჩქარა გაჰსწით, გეევედრებით. ეს უკანასკნელი სიკეთეა, რომელსაც მე თქვენგან ვითხოვ.

— არა, ვერ წავალ. არ შემიძლიან ესე მალე მოვშორდე კაცს, რომელსაც ამდენს ხანს თითქმის მამობას ეუწევდი... მე ცოტად ავჩქარდი, მართალია. შენ კაცის მკვლელი როგორ იქნები!.. შეგრიგდეთ, მომეცი ხელი!

— რათაო?

— მათაო, რომ მაგით მასიამოვნებ.

— მას მერმედ ხომ წახვალთ?

— არა, მე მინდა რომ ცოტა კიდევ გამაცილო. თუ არა და, მე ვიფიქრებ, რომ შენ ჩემზედ ჯავრობ ჩემის უკეთურის სიტყვების გამო.

აბა ბედს უყურეთ! ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ მომშორებულიყო; იგი ჰფიცულობდა, რომ თუ მე არ გავაცილებ, თითონ წამოვა და უკან გამომყვება. ესე ყოფილა! თუ ბედის-წერა ჰქონია კაცს, რომ მოკლული იქმნას, ვერაფერი თურმე ვერ დაისხნის.

XI

ღამე მშვენიერი იყო. ჩვენ ისევ გზას გავუდეგით ერთად. ხმას აღარ ვიღებდით. თვითეულს ჩვენგან თავში ათასი ფიქრი უტრიალდებოდა. ყაბმა სიარულს მოუმატა და ფეხი აიჩქარა. ამან მოუღო კიდეც ბოლო. ბევრსა ვცდილობდი, მაგრამ თვალი ველარ მოვაშორე იმის კისერს, როცა ის დაწინაურდა და მე უკან მივსდევდი. ველარ მოვაშორე თვალი იმ ადგილს, საცა — ღმერთო შემინდე—ჩემს ხელს ჯერ ხუთჯერ დაეცა დანა.

— ეგრე ნუ მიხვალთ ჩემ წინ! უეცრად დავუყვირე მე იმისთანა საზარო ხმითა, რომ ის განცვიფრებული შედგა. მგონია, გული დააჯერა, რომ ჭკუიდამ შეშლილი ვარ და ამიტომაც ხმა არ გამცა, სიარული დაიწყნარა და სიგარა მითავაზა. იმედი მქონდა თავს გავირთობდი სიგარის წევითა და გამოვართვი. ამ დროს ამოიღო ჯიბიდამ საკეკი დანა, გახსნა, მოჰსჭრა სიგარას თავი და მომაწოდა მაგისათვისვე თავისი დანა.

მე ფათერაკი არა მწამს. უეჭველია ყასბის დღე მოსულიყო. უეჭველია მას მიეხწია იმ სამზღვრამდე, რომელიც ღმერთს დაენიშნა მის საცხოვრებლად სააქაოს. მისმა ბედის-წერამ მე მხოლოდ თანა-მონაწილედ გამიხადა. ჰსჩანს ბედის-წერას თვალში მოვდიოდი, რომ აგრე ხშირად სახელდობრ მე ამომირჩევდა ხოლმე.

დანა ხელში შემრჩა. მთვარემ არ დაიზარა დანის პირზედ თავისის სხივებით თამაში. ყოველ უბედურებასთან ისიც მოხდა, რომ ყასაბი ისევ დამიწინაურდა და წინ წავიდა. ამ ხელად მაცდურება მეტად ძლეველი იყო. თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ მაცდურების დაძლევა მარტო გმირს ვისმეს შეეძლო...

მაგრამ მაინც კიდევ რაედენიმე წუთით მომიხდა საქმის გადადება... ჩვენ დაბურულ ტყეში ვიყავით, ასე რომ მთვარის შუქსაც ვერ გამოეტანებინა. მეტად ბნელოდა,—შესაძლო იყო, ამეცდინა. როცა ტყიდამ გამოვედით, მთვარემ ისევ გაგვანათა. კრისტოვალმა მითხრა:

— ერთი ეგ დანა მომეც. აი აქ კარგი ტოტია. მოვსჭრი და გზისთვის ჯოხს გავიკეთებ.

ეს ამბავი ანგარიშში არ მქონდა მოტანილი.

— თქვენ ნუ გაირჯებით, დავუძახე მე და ვეცი ხეს, რომელიც კრისტოვალმა შენიშნა: ტოტების მოჭრა—ჩემი საქმეა, ერთს წუთზედ ყველაფერი მზად იქნება.

ერთი წუთი არ მეყო, იმიტომ-რომ ვფთხილობდი. მეშინოდა დანა არ ღამიჩლუნგდეს მეთქი. არა, რატომ არ გამიტყდა ხელში? დამიჯერეთ ბედს რომ ჰსდომებოდა გადაერჩინა ის, ვისთვისაც ეხლა მე მსჯავრსა მსდებთ, კარგი შემთხვევა ჰქონდა მაშინ: ჰსჩანს არ ჰსდომებია!... როცა ტოტი მოვჭერ, კრისტოვალმა მითხრა:

— მადლობელი ვარ. ეხლა კი შენი გამოცილება მეტია. მაიტა ეგ ჯოხი და ღამე მშვიდობისაც. გზას კარგად ვხედავ. შენ შინ დაბრუნდი, თორემ დაიღლები.

— ნუ მიბძანებთ მაგას! განა ჩემისთანა მგლები დაიღლებიან ხოლმე ორის საათის სიარულითა? ვინ იცის, იქნება ხელახლად აგერიოთ გზა. ტყეში ეგ ადვილად მოხდება ხოლმე. მე მიგიყვან იმ ადგილამდე, საიდამაც გზა გახსნილია, როგორც ხელის გული. გარდა ამისა მე მინდა ეს ჯოხი ჩემს ნებაზედ გაგიკეთოთ. ჩემს სახსოვრად გექნებათ.

საწყალი!.. მიტრიალდა, ზურგი ჩემკენ ჰქმნა და წავიდა ისე. რამდენსამე წუთს შემდეგ.....რამდენსამე წუთს შემდეგ მეთქი ის შინ მისულიყო— საიქიოს დაბინავდა.

(შემდეგი იქმნება.)

ეკ. ლვინიაშვილისა.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ს. გურჯაანის გამსესხებლ-შემნახველის ამხანაგობისა 1877 წ. თებერვლის 13-დგან (მოქმედების დაწყებიდგან) ამავე წლის გიორგობისთვის 13-დინ.

№№	შემოსავალი:	მან.	კ.	№№	გასავალი:	მან.	კ.
1	წილის ფული 31 ამხანაგისა . .	267	„	1	გასესხებული	545	„
2	სარგებელი წინად დაჭერილი ახალი ვადის მიუცემელის ნასესხისა . .	31	80	2	სამმართველოს დანახარჯი . . .	37	75
3	ახალი ვადა მიცემულისა. . .	14	85	3	ნაღდ ფულად იყო	134	10
4	შესანახად შემოტანილი ამხანაგისაგან	400	„				
5	სათავდარიგო თანხა . . .	3	20				
	ჯამი	716	85		ჯამი	716	85

1878 წ. თებერვლის 13-ს არის:

№№		მან.	კ	№№		მან.	კ.
1	წილის ფული 49 ამხანაგისა. .	399	„	1	გასესხებული	914	„
2	სარგებელი წინად დაჭერილი . .	72	6	2	სამმართველოს დანახარჯი . . .	37	75
3	სარგებელი ახალი ვადა მიცემულისა .	14	85	3	ნაღდ ფულად არის.	23	16
4	დაბრუნებული ნასესხი . . .	85	„				
5	შესანახად შემოტანილი . . .	400	„				
6	სათავდარიგო თანხა . . .	4	„				
	ჯამი	974	91		ჯამი	974	91

თავს-მჯდომარე ივანე დავითის ძე ანდრონიკაშვილი.

წევრნი საბჭოსი: { დავით ზარდიაშვილი.
{ გიორგი ბუკიტაშვილი.

ანგარიშის მწარმოებელი სასალხო შკოლის მასწავლებელი პოლიკეკტოს გრ. კარბელოვი.

ანგარიში

თიანეთის გამსესხებელის და შემნახველის ამხანაგობის 1877 წლისა.

1-ს იანვარს 1877 წელს იყო:

	მან.	კ.
წილის ფული — — — — — —	3,889	9
სასარგებლოდ შემოტანილი — — —	3,180	„
ნასესხი შემდგომ აღებული — — —	2,280	„
სათადარიგო თანხა — — — — —	121	87
წმინდა მოგება — — — — — —	505	79
სულ	9,976	75

	მან.	კ.
გასესხებული — — — — — — —	7,397	„
დანაშთები: ნაღდ ფულად — — —	2,255	25
ტფილისის საკაზრო ბანკში შეტანილი დროებით — —	103	50
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში შეტანილი — — — —	221	„
სულ	9,976	75

1877 წელში

შემოსავალი:	მან.	კ.
წილის ფული — — — — — —	721	59
სარგებელი დაკერილი გასესხების ანუ ახალი კადის მიცემის დროს — — —	949	83
ჯარიმა — — — — — — — —	91	6
დაბრუნებული სესხები — — — —	11,814	„
სასარგებლოდ შემოტანილი — — —	2,720	„
ნასესხი შემდეგ აღებული— — — —	3,410	„
სათადარიგო თანხა — — — — —	43	79
სხვა და სხვა შემოსავალი — — —	12	76
სულ	19,763	3

გასავალი:	მან.	კ.
წილის ფული — — — — — —	500	62
მოგებანი წილის ფულზედ 1876 წლისა	135	96
გასესხებული — — — — — — —	10,540	„
სარგებელი კადზედ წინ გადახდილის ნასესხისა — — — — — — — —	29	80
სასარგებლოდ შემოტანილი — — —	3,440	„
სარგებელი სასარგებლოდ შემოტ. ფულებისა	177	79
ნასესხი შემდეგ აღებული — — —	3,480	„
სარგებელი ნასესხებისა — — — —	144	84
საამქართველოს სარჯი— — — — —	263	35
აღებ-მიცემისა — — — — — —	219	83
სულ	18,932	29

1-ს იანვრისათვის 1878 წელსა არის:

	მან.	კ.
წილის ფული — — — — — —	4,110	6
სასარგებლოდ შემოტანილი — — —	2,460	„
ნასესხი შემდეგ აღებული — — —	2,210	„
სათადარიგო თანხა — — — — —	166	65
წმინდა მოგება — — — — — —	587	77
სულ	9,533	49

	მან.	კ.
გასესხებული — — — — — — —	6,123	„
ნაღდი ფული — — — — — — —	444	83
სასესხოწიგნო ბანკის ბილეთები — —	165	66
ტფილისის საკაზრო ბანკში შეტანილი დროებით — — — — — — —	2,600	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში შეტანილი — — — —	200	„
სულ	9,533	49

გამგებელნი:
- მ. შიუკოვი.
- გ. გოჯიევი.
- ს. ფიცხელაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Мая 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.